International Republican Institute
1225 Eye St., NW, Suite 700
Washington, D.C. 20005
(202) 408-9450
(202) 408-9462 *fax*
www.iri.org

დაუყოვნებლივ გავრცელებისათვის
2 ოქტომბერი, 2012

ყველაზე კონკურენტული და სანდო არჩევნები საქართველოში

თბილისი, საქართველო – 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველმა ამომრჩეველმა მონაწილეობა მიიღო ყველაზე კონკურენტულ და სანდო საპარლამენტო არჩევნებში. საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტზე შთაბეჭდილება მოახდინა არჩევნების დღის მიმდინარეობამ ყველა საარჩევნო ოლქში, სადაც სადამკვირვებლო მისია ახორციელებდა მონიტორინგს. ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ პარტიები, კოალიციები და სხვა დაინტერესებული მხარეები აღიარებენ და პატივისცემით მოეკიდებიან არჩევნების შედეგებს.

არჩევნების დღესთან დაკავშირებით ბევრი დადებითი ასპექტი გამოიკვეთა. კონგრესმენი დრეიერი, რომელიც სადამკვირვებლო მისიებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ხელმძღვანელობს, აღნიშნავს: "იმ ენთუზიაზმმა და საყოველთაო ჩართულობამ, რაც ქართველმა ამომრჩეველმა გამოავლინა, არჩევნების ხარისხი მკვეთრად გააუმჯობესა. იმედი გვაქვს, რომ ოფიცილუარი მონაცემების გამოქვეყნებისთანავე ორივე წამყვანი პოლიტიკური ძალა, დაპირებისამებრ, აღიარებს არჩევნების შედეგებს. ამჯერად დროა, მეტი ყურადღება დავუთმოთ იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რაც ქართველი ხალხის წინაშე დგას".

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დელეგაციის მეორე ხელმძღვანელი, კონგრესმენი ქეი გრეინჯერი აღნიშნავს: "საარჩევნო ადმინისტრაციის წევრები მაღალი პროფესიონალიზმით ეკიდებოდნენ თავიან მოვალეობებს ყველა უბანში. მათი გულისხმიერება და საქმისადმი მიდგომა დადებით მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს მომვალი არჩევნებისათვის".

წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობის მიერ ამომრჩეველთა სიის ფორმირებისათვის გაწეულმა ძალისხმევამ დადებითი შედეგი აჩვენა არჩევნების დღეს. უწყებათაშორისმა კომისიამ და მისმა რეკომენდაციებმა, რომელიც პასუხობდა ოპოზიციის მიერ ხაზგასმულ საკითხებს, შეამცირა დაძაბულობა როგორც უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს. ქართულ მედიაში "მასთ ქერის" ("must carry") დანერგვამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამომრჩეველთა

ინფომირების პროცესში და სასურველია რომ მსგავსი მიდგომები მომავალშიც გაგრძელდეს.

წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ დღის წესრიგში იდგა საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა არათანაბარი რაოდენობის საკითხი. ამ პრობლემაზე დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა საკმაოდ დიდი ხნის წინ გაამახვილეს ყურადღება და აუცილებელია შემდეგი არჩევნებისთვის ამ საკითხის დარეგულირება. აღსანიშნავია, რომ კონტროლის პალატასა და მის მემკვიდრეს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ჰქონდა ძალიან დაბალი ნდობა საზოგადოებაში. აუციებელია, უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალიდებული და ღია სისტემის შექმნა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომელიც გამორიცხვას ცალკეული ორგანოების მიერ თამაშის წესების განსაზღვრასა და მხარეების დაჯარიმებას არჩევნების პერიოდში.

არჩევნების დღის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისთავის საჭირო ხარჯვის პროცესი. აღნიშნულმა საკითხმა გადაფარა ამომრჩეველთათვის მნიშვენელოვანი ისეთი თემები, როგორებიცაა: სამუშაო ადგილები, ჯანდაცვა და სხვა. საარჩევნო კამპანიის წარმოებისათვის დახარჯული თანხის უპრეცედენტო ოდენობამ უარყოფითი ზაგავლენა იქონია არჩევნების დღეზე. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხელისუფლების ან ოპოზიციის მიერ ლობირებისათვის თანხის ხარჯვა თანამედროვე მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკად ითვლება. თუმცა, ნაღდი ფულის (რომლის წარმომავლობა უცნობია) გამოყენება ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ჯგუფების, ეგზიტპოლებისა და ხმების პარალელური დათვლის დასაფინანსებლად, ჩრდილს აყენებს საარჩევნო პროცესს და ხელს უწყობს უკვე არსებული პოლარიზებული გარემოს კიდევ უფრო გაღრმავებას.

ასეთმა ძალისხმევამ გაზარდა საჩივრების რაოდენობა არჩევნების დღეს. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა არჩევნების დროს ოპოზიცია არასასურველ მდგომარეობაში იმყოფება, საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა ყურადღება გაამახვილა მათი საჩივრების გრძელ სიაზე. ამასთანავე, ორგანიზაციის დამკვირვებლები მთელი დღის განმავლობაში ამოწმებდნენ იმ საარჩევნო უბნებს, რომელთან დაკავშირებითაც ”ქართული ოცნების” წარმომადგენლები აწვდიდნენ მათ ინფორმაციას. საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა გააანალიზა ოპოზიციის საჩივრები, როგორც ტიპის, ასევე გეორგრაფიული არეალის მიხედვით, რათა დაედგინა ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე სისტემური ხასიათის დარღვევას, რომელიც გავლენას მოახდენდა არჩევნების შედეგებზე. სისტემური ხასიათის საჩივრებს ადგილი არ ჰქონია, მათი უმეტესობა ეხებოდა ცალკეულ დარღვევებს, რომლებიც, სამწუხაროდ, არჩევნების დროს, მსოფლიოს ყველა კუთხეში გვხვდება. გამონაკლისს წარმოადგენდა ბრალდებები, თითქოს პოლიციის მიერ ხდებოდა სატელეფონო ზარებით საარჩევნო მოხელეების სისტემატიური დაშინება, რომ მათ ბრალად დაედებოდათ ქრთამის აღება. აღსანიშნავია, რომ ამ ზარების განმახორციელებელთა ვინაობა უცნობია, ვინაიდან გადამოწმების შემდეგ ცხადი ხდებოდა, რომ აღნიშნული ნომრები პოლიციას არ ეკუთვნოდა. მიუხედავად

ამისა, შემთხვევის სისტემურობა მოითხოვს აღნიშნული ფაქტების ინტენსიურ გამოძიებას.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დელეგატები, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ კანადიდან, ჩეხეთიდან, იორდანიიდან, ლიტვიდან, მოლდოვიდან, ნორვეგიიდან, პოლონეთიდან, შვედეთიდან, გაერთიანებული სამეფოდან და აშშ-დან დააკვირდნენ არჩევნების დღის მიმდინარეობასა და ხმების დათვლის პროცესს ქვეყნის 150-ზე მეტ საარჩევნო უბანში. დელეგატებმა არჩევნების დღის მონიტორინგი განახორციელეს აჭარაში, იმერეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, სამეგრელოსა და სამცხე-ჯავახეთში.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ კონგრესმენები ამერიკის შეერთებული შტატებიდან - დევიდ დრაიერი და ქეი გრეინჯერი, რომლებიც ასევე არიან საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორთა საბჭოს წევრები. დელეგაციის დანარჩენი წევრები იყვნენ:

- თარვათ ალ-ამრო, ყოფილი პარლამენტარი იორდანიაში, რომელიც წარმოადგენდა კარაკის გუბერნიის მეორე ოლქს;
- ვიქტორ ეში, ყოფილი აშშ-ის ელჩი პოლონეთში, მაუწყებლობის მმართველთა საბჭოს წევრი;
- სუზან ქორქი, „თავისუფლების სახლის“ ევრაზიის პროგრამების დირექტორი;
- ევა გუსტავსონი შვედეთიდან, „იალ ჰალმარსონის ფონდის“ გენერალური დირექტორი;
- ბერი ჯექსონი, სპიკერ ჯონ ბოენერის უფროსი მრჩეველი;
- მეთ ლეფინგველი, აშშ-ის კონგრესმენის ქეი გრეინჯერის შტაბის უფროსი;
- რეიჩელ ლემანი, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კანონის კომიტეტის, პოლიტიკისა და სტრატეგიული კომუნიკაციების თანამშრომელთა დირექტორის მოადგილე;
- ეირიკ მოენი ნორვეგიიდან, საერთაშორისო დემოკრატიული კავშირის აღმასრულებელი მდივანი;
- არიჯუს პეტრუსონისი, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის მესამე მდივანი;
- რობერტ თომასი გაერთიანებული სამეფოდან, კონსერვატიული პარტიის საერთაშორისო ოფისის მრჩეველი;
- ბრედ სმიტი, აშშ-ის კონგრესმენის დევიდ დრაიერის შტაბის უფროსი;

დელეგატების გარდა მისიაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის თანამშრომლებიც, რომლებიც დახმარებას უწევდნენ დელეგატებს. ორგანიზაციის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდნენ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტი ლორნ კრანერი და საერთაშორისო რეპუბლიკური ინსტიტუტის ევრაზიის რეგიონალური დირექტორი სტეფან ნიქსი.

არჩევნებამდე დელეგატებმა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე ინფორმაცია მიიღეს აშშ-ს საელჩოს, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისაგან. ისინი ასევე გაეცნენ საერთაშორისო

დამკვირვებლების უფლებებსა და მოვალეობებს, რაც გათვალისწინებულია სქართველოს საარჩევნო კოდექსით.

1983 წლიდან საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს განხორციელებული აქვს 150-ზე მეტი არჩევნების მონიტორინგი მსოფლიოს 46-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო და 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი საქართველოში.

###